სიმართლე რომ ვთქვათ, რომ დავუბრუნდეთ ფაქტებს, ქცევებს და მიზნებს აღწერილი პერსონაჟებისა აქამდე დასრულებულ ისტორიაში, სხვადასხვა შემთხვევებში და მრავალნაირ ფორმებში დავინახე, რომ არ მოკლებია შესამჩნევი მცდელობანი ორიგინალური მოდელების შესაქმნელად, განსხვავებით უკვე არსებული და ნაცნობი კანონიერი ძალაუფლებისა, ფორმირებისა თუ ამგვარად თვით აღიარებულისა.

ამ კუთხით ბუნებრივად მიჩნდება სურვილი გამოვხატო ჩემი სულიერი მდგომარეობა, ასევე როგორც მკვლევარმა,

გატაცებულმა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ტრადიციებით დიდი ხნის განმავლობაში, ორგანიზატორი მოვლენებისა, რომელიც დაკავშირებული იყო მათ ნამდვილ ფასეულობებთან, აღფრთოვანება დიდი რუსი კომპოზიტორის და მუსიკოსის პეტრე ჩაიკოვსკის მიმართ, გენიალური ინოვაციური რუსული მუსიკისა, გამზიარებული დასავლური ევროპის მუსიკალური ტრადიციებისა.

მისმა შემოქმედებამ და ბრწყინვალეობამ შეძლო ღირებულება მიეცა იმისთვის, რაც შეექმნათ ახალგაზრდა ხელოვანებს, რომლებმაც სიძნელეებისა და უნდობლობის საფუძველი მისცეს „ხუთთა ჯგუფს“, დიდი რუსული ეროვნული სკოლის შემქმნელს, როგორც რახმანინოვის ეთნიკური და ხალხური მუსიკის გამომხატველი ფორმებისა და ამავე დროს საფუძველი ჩაეყარათ შედეგიანი და ორიგინალური კონტამინაციისათვის, რომელიც გამოჩნდებოდა დიდ ავტორებში, როგორც რიმსკიკოსაკოვი, პროკოფოევი და შემდეგ დროის დიდი შეზღუდულობით შოსტაკოვიჩის ოპერაში.

ცარიზმის რუსეთის აგონიამ და სოციალურმა და პოლიტიკურმა დინამიზმმა, შემოტანილმა ოქტომბრის რევოლუციამ გალიაში მოამწყვდია სიცოცხლის უნარიანი პოლიტიკა, შიგნიდან, რადიკალურად განსაზღვრეს სისტემის მუშაობის წესი და აგრესიული გახადეს მსოფლიოში დიდი რუსეთის სახელმწიფოებრივი ყოფის ბუნება, გადაქცეული სამოცი წლის ისტორიის მანძილზე „საბჭოების დიქტატურად“.

პერიოდი ფართოდ ცნობილი მთავრობათა ელიტისაგან და მსოფლიო ხალხთაგან, სისტემა მონონებული და გაღებული ადგილობრივ სისტემათაგან მომავალში, რომლებმაც ცნეს მარქსისტურ-ლენინური თეორიის საყრდენ პარადიგმად, წინააღმდეგობა განეული უდიდესი რუსი პიროვნებებისა და ორგანიზაციების მხრიდან, მოწინააღმდეგენი მისი დამრთველ პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური და რელიგიური ხედვისა. წინააღმდეგობანი გამომხატული ნაყოფიერად სხვადასხვა საერთაშორისო ერებში, მაგრამ ასევე

შინა მონინალმდეეგებთაგანაც, იატაკქვეშეთში მყოფთა და იძულებით გაჩუმებულთაგანაც, განსაკუთრებით სტრუმენტალური ალიანსების და ზოგჯერ გროტესკულობის წინააღმდეგ. გოგოლი, ტოლსტოი ამას ყველაფერს ამორალურს დაარქმევდა და პასტერნაკი საშიშს, ადამიანის პირადი თავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ რეჟიმებს.

ამგვარად ვალიარებ რა ჩემს უცოდინარობას, ამ უამრავი საკითხის სირთულეებთან დაკავშირებით, სიამოვნებით ვუთმობ ადგილს საჭირო საკითხების საბოლოო გაღმავებისთვის, ორგანიზებული საზოგადოების ისტორიული პროცესების ექსპერტებს, მათი ინტელექტუალურ და აბსოლუტურ პატიოსნებაში დარწმუნებული, ყოველგვარი ქვეტექსტების დამალვისა და მცდარი აზრის გარეშე.

ამასთან დიდი ხანია მსურს, რომ ცხოვრებაში ხორცი შეესხას დიდ სურვილს, ნაგრძნობს ნამდვილად მრავალ თავისუფალი ადამიანის მხრიდანაც, მას რომ დადგენილი იქნას ერთი საერთაშორისო დღე წლისა ყველა ეროვნებაში იმ დახოცილთა გასახსენებლად, რომლებმაც თავი განირა პიროვნული და ერთიანი თავისუფლებისთვის.

ინტერნეტში ზღვა ახალი ამბების მოძიების დროს, ინფორმაციიდან სტილში „დეზინფორმაცია“, მნიშვნელოვან საიტებამდე ხშირად ძლიერი პატივისცემით შეევიცანი, შევამჩნიე, ვნახე, ნავიკითხე და დავიმახსოვრე დაუვინყარი იტალიელი ჟურნალისტის პაულო ჯიუნტელას (ახლახანს გარდაცვლილი) სტილი და მეთოდი, კომენტარები 2009 წლის მაისის მეორე ნახევრისა სხვადასხვა გაზეთებში, რომელთაც ძირითადი მიმართულებები მოყავდათ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ნათქვამებიდან ოსტორიულ ობიექტურ ძიებათა აუცილებლობაზე უკიდევანო ქვეყნის ისტორიის აღსადგენად.

მიზანი არის ის, რომ დააშინონ და ხელი შეუშალონ არანამდვილ ისტორიულ აღდგენას, განსაკუთრებით II მსოფლიო

ომის პერიოდთან დაკავშირებით და როლზე რომელიც იქონია საბჭოთა კავშირმა ნაცისტური გერმანიის დაშლაში, მის მნიშვნელობაზე მოკავშირეთა წრეში, ძალისხმევასთან დაკავშირებით, წითელი არმიის ბერლინში შესვლამ, როდესაც რაიხსტაგის თავზე აღმართული იქნა დროშა ნამგალითა და უროთი ქართველი და რუსი მეომრების ხელით.

დიდებული მიზანი და ამდენად გასაზიარებელი, ამავე დროს, სიმშვიდით დასაზუსტებელი და შესაფასებელი დროთა განმავლობაში, კრიტიკული თვალსაზრისით და ყოველგვარი ქვეტექსტების გარეშე იმის მხედველობაში მიღებით, რომ დღევანდელი პრეზიდენტი ხელს აწერს არსობრივად ერთმანეთის გამომრიცხველ აქტებს..

როგორც ერთისმხრივ სარკოზის გეგმა რუსულ-ქართულ კონფლიქტთან დაკავშირებით და შემდგომი, თითქმის სასწრაფო აღიარება აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოლქის დამოუკიდებლობისა, იმავე 2008 წლის აგვისტოს თვეში მეორე მხრივ, ორი შეთანხმება საერთაშორისო მნიშვნელობისა, მიჩნეული სტრატეგიულად რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა პოლიტიკის პასუხისმგებელი პირებისა და წყარო უხერხული დიპლომატიური შეხვედრებისა ისეთ ორგანიზმებში, როგორიც ოშე, ევროპის საბჭო, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ურთიერთობებში ევრო-რუსეთი, რუსეთი – შეერთებული შტატები, რუსეთი-ნატო, თვით დამოუკიდებელ სახემლნიფოთა კავშირის შიგნითაც და ბოლო დროს სხვადასხვა დაგეგმილ შეხვედრებში გაფართოებული G8 .

სულ უფრო დაჟინებით ხშირად ჩნდება ერთი, უნდა ნავიდეს და რა როლი უნდა ითამაშოს მსოფლიოში რუსეთის ფედერაციამ? ბევრი ფიქრობს, რომ გაიგო, მაგრამ შემდეგ ვრცელდება ბოლო ახალი ამბები და. . . საყრდენი წერტილი განიცდის არა მეორეხარისხოვან ცვლილებას. ვფიქრობ, რომ მაინც ცხადად მოქმედება მოსკოვის და პეტერბურგის ხელმძღვანელობის მხრიდან გამორიცხულია, პირიქით, შეიძლება მოულოდნელმა ქარიშხალმა შეაცვლევინოს მიმართულება,

რომელიც სავსებით ნათლად იყო დასახული „დიდი მეთაურის“ მიერ, ბევრი პოლიტოლოგის ფიქრით დროებით პერიოდზე რა თქმა უნდა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ქარიშხლების გამორიცხვით, განსაკუთრებით შიდა უკიდუგანო ტერიტორიაზე, პრეზიდენტიდან კანცელარიამდე.

ფაქტების აღქმისადმი იგივე მიდგომა, რომლებმაც ახლო წარსულში დააინტერესა და მოიცვა კავკასიის არეალი, ჩაითრია სხვადასხვა პერსონალები და სტატისტიკები, ჟურნალისტები და მაღალი რანგის კომენტატორები გეოპოლიტიკისა, ფსევდო ანალიტიკოსები და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტები, ადამიანის უფლებების დაცვის და ფინანსური პრობლემატიკების ექსპერტები.

არ შემიძლია ამავე დროს დავმალო ჩემი გაოცება „მედვედვის“ გადაწყვეტილების მედიატიკურ გახმაურებაზე, რადგან უკვე კონსოლიდირებულია მეცნიერული მეთოდოლოგია ისტორიულ კვლევებში არსებულ და ორიგინალ დოკუმენტებზე.

საფრთხე რა თქმა უნდა ყოველთვის ჩასაფრებულია, მაგრამ სიმართლე რომ გამოვლინდეს, ფაქტების ტყუილ რეკონსტრუქციას თავი უნდა აერიდოს პროპაგანდისტული მიზნისათვის და მართლაც რომ იყოს სრული და ღრმა საფუძველი, ამისათვის საჭიროა გამჭვირვალობა, 50 წლის წინ მომხდარი ფაქტებისა მაინც, და მთავარი და მნიშვნელოვანი პროტაგონისტების როლზე.

პირველი ვიზიტის დროს საბჭოთა კავშირში 1990 წლის შემოდგომაზე, განმაცვიფრა ძლიერ „რესტორნებში დახურულმა ოთახებმა“ და „ოფისებში ორმაგმა კარებებმა“, სიფრთხილე და თავშეკავებულობა ადამიანის უფლებაა. სამწუხაროდ მსოფლიოს მრავალ ნაწილში სრულიად უცნობი, მაგრამ მსგავსი ატმოსფეროები იყო ადგილობრივი, სადაც ნამდვილად იყო შესაძლებელი ხელისშეწყობა გასაიდუმლოებისა ზღვარს იქით და პირობების შექმნისა კორუმპირებული და

ავტორიტარული ქმედებებისათვის.

საქართველოში და ზოგიერთ ყოფილ „რკინის ფარდიან“ ქვეყნებში დღეს ნახვა ოფისებისა, რომლებიც ძირითადად მინისაგან არის გაკეთებული, პოლიციის ჩათვლით, დადებითად შოკის მომგვრელია და შეიძლება წარმოადგინოს მენტალიტეტის ნამდვილი გადმოტრიალება და საზოგადოებრივი სამსახურების ბოლოსდაბოლოს გამჭვირვალობისაკენ მიმართვა და საყოველთაო კეთილდღეობა. წარმოუდგენელი პროცესები ბერლინის კედლის დანგრევამდე, საბჭოების იმპერიის გახეთქვამდე და პირველ „თავისუფალ“ არჩევნებამდე რუსეთში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

არადაკმაყოფილებული სურვილის მდგომარეობიდან გამომდინარე დავინწყე ძიება ძირითადი ისტორიული ხაზებისა რუსეთის და შავი ზღვის, კავკასიონის და კასპიის ზღვის მთელი არეალის ქვეყნებისა.

საინტერესო, მომაჯადოებელი და დამაინტრიგებელი გამოდგა, აუცილებელი ცოდნის გაღრმავებით მოვლენების, სირთულეების და ძველი ისტორიის კულტურების გასაგებად მომაჯადოებელი ბუნებრივი ადგილები, დომინირებულნი მუდმივი ყინულებით. შიდა სამყარო, ძირითადად უცნობი ბევრისათვის როგორც საბჭოთა, და რომელიც ყოველთვის ინვევდა ცნობისმოყვარეობას და ინტერესს.

ბავშვობაში, სწორედ, როდესაც, ჩემს ქალაქთან, კალიართან ახლოს დანყებით სკოლაში შევედი, რომელიც I მსოფლიო ომის გმირი მეგრძოლის სახელს ატარებდა, ზოგჯერ ვჩერდებოდი გაკვეთილების შემდეგ ბებიასთან, დედის დედასთან, და რადგანაც მასთან ახლოს ვიყავი, ვეკითხებოდი ინფორმაციას რუსეთის, ზუსტად კი, საბჭოთა კავშირის შესახებ. დიდი ხნის მანძილზე ეს ტერმინი სინონიმებად ითვლებოდა.

1961 წლის აპრილის ერთ დღეს მართლაც რომ შესანიშნავი ფაქტი მოხდა და სარდინიაზე ყველაზე გავრცელებულ გაზეთში „L' Union Sarda“ დიდი გარკვევით მოყვანილი იყო: ერთმა რუსმა მეთაურმა კაცმა, იური გაგარინმა, საორბიტო

კაპსულით დედამინას გარშემო შემოუარა!

ცნობისმოყვარეობით ავსებულმა და სურვილით, ვყოფი-  
ლიყავი დიდი ამბის პირველი მიმტანი, ბებიას ვუთხარი, რო-  
მელმაც სენსაციური ამბის მოსმენისას პირობა მომცა, რომ  
ბაბუა, გრძელი უღვაშებით და გამობრძმედილი XX საუკუ-  
ნის პირველი ნახევრის ომებით, მალა ამახტუნებდა, თუ არ  
მოვრჩებოდი მის შენუხებას და ბავშვური ფანტაზიით სავსე  
ამბების მოყოლას, მაგრამ იმჯერად არ იყო არც ფანტაზიის  
ნაყოფი და არც სიზმარი, მსოფლიოს და საბედნიეროდ!

ჯერ კიდევ ალბათ განვითარებაში მყოფი სამყარო: მი-  
თუმეტეს რომ წინ დიდი ინტერესით და მართლაც რომ დიდი  
ცნობისმოყვარეობით წავიკითხე, რომ იდეა მიწის გარშემო  
შემოფრენისა შემუშავებული და მოფერებული იყო დიდი ხნი-  
დან მოყოლებული. ჯერ კიდევ 1883 წელს, დანყებითი სკოლის  
მასწავლებელმა, რუსმა კონსტანტინე ედუარდის ძე ციოლ-  
კოვსკიმ დაამუშავა თეორია რაკეტებზე, იდეა რომელიც არ  
იყო ახალი, მაგრამ პირველად იყო შესწავლილი დამაჯერებ-  
ლად და სისტემატურობით. თეორია გამოქვეყნდა მოსკოვში  
1895 წელს.

ნაშრომში „სიზმარი მიწისა და ცისა“, რომელშიც ავტორს  
მოჰყავდა ხელოვნური სატელიტის მშენებლობა ატმოსფე-  
როს ზემოთ საყრდენად, იდეა, რომელიც იკაროს და გენიოსი  
ლეონარდი და ვინჩის ოცნების იქეთ მიდიოდა, რომელიც მა-  
ინც მიწის ატმოსფეროში დარჩა.

ჩემს ბებიას ნამდვილად არ წაეკითხა თეორია რაკეტების  
შესახებ და დარწმუნებული ვარ არც არავის მოუყოლია მის-  
თვის, მაშინდელი მისი და ასემინის გარშემო ყოველდღიური  
ცხოვრების ათას წვრილმანში.

მომდევნო წლებში ჩემი თავი გაივსო სხვა ახალი ამბე-  
ბით, რომლებიც რეგულარულად ვრცელდებოდა მეგობარი  
კომუნისტებისაგან, განსაკუთრებით კვირა დღეებში, როდე-  
საც ვალდებულებით, სერიოზულობით და მთელი შეგნებით  
გამოდოდნენ ქალაქში, ამდენად ყველა ინფორმაცია იძენდა

დიდ ძალაუფლებას წყარობისა და ფაქტების სიტუაციების მნიშვნელობის მიუხედავად.

რაკეტების კრიზისი კუბაზე, ხუშჩოვის გადაყენება, სტალინის დიდი მონინაალმდეგე და ურთიერთსაპირისპირო პიროვნება, გამომეტყველებით კეთილგანწყობილი, ბრეჟნევის გაუმჭირვალე პერიოდი, დაწყებული პრალის დაკავებით, ხელშეწყობილი პეტროდოლარებით, მაგრამ მოხვედრილი ხაფანგში იმ სისტემისა, რომელიც ამჟღავნებდა უკვე წინასწარი სიბერის ნიშნებს, ტოტალური უუნარობისა და დესტრუქტურიზაციისა.

ანეგდოტი კაცისა, რომელიც სინამდვილეს მიკუთვნება, რომელშიც ის ამბობს საავადმყოფოს შესასვლელში „აქ წვანან მსოფლიოში ყველაზე ჯანმრთელი ავადმყოფები“ და ლიდერის დამძიმებული გამოსახულებანი მკერდზე მედლებით.

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადად მსოფლიოს მისცა საბჭოთა კავშირის ყველაზე მისაღები და სასიამოვნო გამოსახულება, მაგრამ უცბად, შემდგომ დაბრუნდნენ გამოხედვანი დაჩრდილულნი საბჭოთა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სამყაროთი.

ვიმედოვნებ, რომ ისტორიული კვლევები საბოლოოდ გახდიან ნათელს მთელ საბჭოთა ეპოქას და აღადგენენ მეცნიერულად ნამდვილ მიზეზებს სისტემის გახეთქვისა, რომელიც ათასწლეულების მანძილზე იყო მრავალი ერისა და მსოფლიო პოლიტიკური მოძრაობის ფასეულობა..

ტიტულოვანი ბრეჟნევი, თეორეტიკოსი „შეზღუდული ხელისუფლებისა“ სატელიტი ქვეყნებისათვის უკვე დაშვების პერიოდში შედიოდა, სასწრაფოდ შეცვლილი „საჩვენებელი“ ისტორიული კაცი, რომელიც ძირითადად „ლუბლიანკას“ წრეებში იყო გაზრდილი, იური ვლადიმერის ძე ანდროპოვი. მისი დიდი ღვანლი ის იყო, რომ როდესაც არჩეული იქნა პირველ გენერალურ მდივნად კომუნისტური პარტიისა, ჯერ კიდევ კგბ-ს მეთაური იყო.

მისმა ყოფნამ ხელისუფლებაში ცოტა ხანს გასტანა და მისი სიკვდილის შემდეგ პოლიტიბუროსაგან არჩეულ იქნა



კონსტანტინე ჩერნენკო, კაცი უკვე ავადმყოფი და ძირითადად უუნარო საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მართვისათვის. ბოლოსდაბოლოს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, მიიღო რა მხედველობაში მდგომარეობის გამწვავება საბჭოთა ბლოკში და რეიგანის ამერიკასთან რთული ურთიერთობანი, შეწყვიტა კრემლის ნეკროპოლში სეირნობა და აირჩია ახალგაზრდა და განსხვავებული კაცი, უკვე ისტორიულად არსებული სტერეოტიპებთან შედარებით, სრული ფიზიკური და გონებრივი ძლიერებისა, უნარიანი მის წინამორბედებთან შედარებით.

პირველმა გადაწყვეტილებებმა, მდინარე მოსკოვზე გამაგრებული ქალაქის მცხოვრებლისა, მიხეილ გორბაჩოვისა, გამოიწვიეს დიდი ინტერესი დასავლეთ და მთელ მსოფლიოში, მაგრამ ნამდვილად ნაკლებად საინტერესო იყვნენ პარტიისა და სამხედრო ძალების ოლიგარქიული წრეებისათვის. იყო იძულებითი არჩევანი, ნაგვიანები და უკანასკნელი შესაძლებლობა საბჭოთა სისტემის პაკიდერმისათვის, ქონოდა რაღაც შესაძლებლობა გამოსულიყო ღრმა და ხანგრძლივი კომიდან.

1985 წლის 11 მარტს, 54 წლის ასაკში ამხანაგი გორბაჩოვი რომელსაც არ ჰქონდა უშუალო გამოცდილება კვბ-სი, არჩეული იქნა პარტიის გენერალურ მდივნად, ანდროპოვის საიდუმლო კაცის წყალობით. ისიც წარმოშობით ქალაქ სტავროპოლიდან, იყო განსაზღვრული გორბაჩოვის როგორც პოლიტიკური კაცი, ისიც დაბადებული იგივე ქალაქში „ჯვრის ქალაქში“. ზონაში ეკატერინე II დასახლდა კოზაკები იმპერიის საზღვრების დასაცავად და კავკასიის დაპყრობისა და დომინაცია გასაადვილებლად.

გორბაჩოვმა თავის მყარ გადაწყვეტილებებში წამოწია სამი პოლიტიკური იდეა, რომლებიც მიღებული იყო როგორც სტრატეგიული, რათა გადაერჩინა დიდი, დაავადებული სისტემა? "გლასტნოსტი", "პერესტროიკა" და დაჩქარება ეკონომიკური განვითარების დინამიკისა. მისი ხედვა თავისებურად რევოლუციური იყო, მაგრამ ძნელი გასატარებელი შიდა რთული ვითარებისა და ცვლილებების დინამიზმის გამო, რო-

მელიც მსოფლიოს სხვადასხვა მხარეს მულავენდებოდა.

მიღწეული იქნა ეპოქალური მიზნები შეიარაღების შენე-  
ლებაზე. ერთ-ერთი მრავალ მიზეზთაგანი საბჭოთა კავშირის  
აფეთქებისა, ცივი ომის დასასრული, მართლაც და 50-იანი და  
60-იანი წლების გაყინული პერიოდისა. ბრეჟნევის დოქტრი-  
ნის საბოლოო გადალახვა, საბჭოთა ჯარების ავღანეთიდან  
გამოსვლა, სლავ პაპთან ურთიერთობა და ტენდენცია, რო-  
მელიც ყოველთვის არ გამოდიოდა, დემოკრატიის ფორმების  
გამოვლინების კალაპოტში ჩაყენება, რომლებმაც 90-იანი  
წლების ბოლის დასაწყისი მისცა გავრცელებულ ამბოხებებ-  
სა და ბერლინის კედლის ნგრევას.

საბჭოთა რეჟიმის მეთაურის გამოცდილებას, ხელშეწყო-  
ბილი მუდღე რაისა მაკსიმოვნასაგან, წარმოშობით ციმ-  
ბირიდან, თან ახლდა მართლაც და დრამატული მომენტები  
ჩერნობილის ატომური სადგურის აფეთქებით უკრაინაში და  
აღანეთში სისხლიანი ომის გაგრძელებით. მისიით, რომ ფიქ-  
რობდა ეხელმძღვანელა საბჭოთა ისტორიის გარდამავალი  
პერიოდისათვის. მისი პოლიტიკის საწინააღმდეგო მოვლენე-  
ბით სადანიყის მიეცა სსრკ-ს დასასრულს, და ძალაუფლების  
აღებით, რომელიც მხოლოდ რუსეთზე იფარგლებოდა, ელცი-  
ნის მიერ რეფორმისტების, ჯგუფები რომელშიც განსაკუთ-  
რებით გამორჩეული ფიგურა იყო შევარდნაძე. საქართველო-  
დან გამოძახებული კაცი გახდა განმსაზღვრელი პოლიტიკის  
ცვლილებების გატარებისა, მაგრამ ასევე მყარი მოლოდინის  
დაცვაში და დადებითად პასუხის გაცემაში ბევრი შიდა და  
სსრკ-ს გარეთ მყოფ წრეების მოლოდინზე.

1990 წელი რუსეთის დემოკრატიული შემობრუნების წე-  
ლი იყო, პარლამენტის ახალი არჩევნებით და მიღებით მიმარ-  
თვისა, რომელიც ამტკიცებდა სრულუფლებიანობას რუსე-  
თის ერისა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წევრე-  
ბის მიმართ.

1991 წლის დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც  
დანყებული იყო რადიკალური რეფორმისტი ბორის ელცინის  
ლიდერობით, გამყარებული იქნა მისი არჩევით რესპუბლიკის  
პრეზიდენტის პოსტზე, რომელიც მოხდა საყოველთაო ხმის

მიცემით და ყოველგვარი ძალაუფლების მინიჭებით.

ამიტომ თავშეკავებულმა რეფორმატორმა გორბაჩოვმა, რომელიც შენუხებული იყო სსრკ-ს დამშლელი მოძრაობების გამო, ახალი ერთობის ტრაქტატის შემოთავაზება გააკეთა, რომელსაც ენინალმდეგებოდა ფედერალური მთავრობის და კომუნისტური პარტიის კონსერვატორული ფრთა. მაშინ როდესაც, მშვიდობისათვის ნობელის პრემიის მქონე პრეზიდენტი, მეუღლე რაისასთან ერთად ყირიმში არდადეგებზე იმყოფებოდა, მოსკოვში შუა ზაფხულში მოულოდნელი მთავრობის ჩამოგდების მცდელობა მოხდა, აღიარებული მიზნით, რომ ხელი შეეშალათ საბჭოთა კავშირის ფედერალური ორგანოების განახლებისათვის.

მომენტები და დღეები იმდენად მღელვარე და დაბნეული იყო რომ, ცოცხალი რომ ყოფილიყო ნიკოლაი ვ. გოგოლი, ექნებოდა იმდენი დოკუმენტური მასალა, რომ წლების განმავლობაში თავისი ფანტაზიისათვის საშუალებას მისცემდა დაენერა სატირის გაზეთები და ნიგნები; ნამდვილად კანონიერად გახდებოდა პირველი და ყველაზე მდიდარი, იმის მხედველობაში მიღებით, რომ მიზანი ქონდა ასეთი მატერიალისტური შთაგონებისაკენ, ახალი პოსტ-კომუნისტური რუსეთისა, ნინამორბედი ასე გაჩენილი იმ მრავალი ოლიგარქისა, გაზრდილის თუ ძალად შექმნილის, შემდეგ წლებში ჩვენს დღეებამდე.

ზუსტად პირველ დღეს პუტჩის მცდელობისა, შუადღეზე, მოკლე არდადეგების შემდეგ, დავტოვე ლამაზი ტურისტული ქალაქი ალგერო (სარდული ტურიზმის ოქროს კარები), კალიარის რეგიონში დასაბრუნებლად. ნურაგების (დიდი მეგალიტიკური ნაგებობანი, რომლებიც შეიძლება დღესაც მოინახულონ სარდინიაზე). მდელს რომ მივუხლოვდი, მაშინ, როდესაც წყნარად ვუსმენდი რადიოს გადაცემებს, მკვეთრად იქნა შეწყვეტილი პირდაპირი ჩართვა მოსკოვში RAL-ის კორესპონდენტთან, რომელმაც მთავრობის ხმაურიანი გადატრიალება გამოაცხადა, ყოველგვარი დეტალური ინფორმაციის მონოდების გარეშე.

სახლში მისვლისთანავე ჩავრთე ტელევიზორი და ასე შევეძელი მენახა პირველი გამოსახულებები რუსეთის დედაქალაქიდან და საბჭოთა კავშირიდან. სხვადასხვა გამოსახულებებს შორის პირდაპირ ეთერში თვალეში მომხვდა გორბაჩოვი, დიდი კომუნისტური სახელმწიფოს ატომური სისტემის უსაფრთხოების პატარა ჩემოდნით, მაშინ როდესაც გაბრუნებული გამოდიოდა და ჩამოდიოდა თვითმფრინავიდან, რომელმაც საჩქაროდ ჩამოიყვანა მოსკოვში, მეუღლესა და შვილებთან ერთად.

ინტუიციამ და სიმართლემ „თეთრი ყორნისა“, რომელიც უკვე ნამდვილი ლიდერი გამხდარიყო „მოსკოვის წმინდა სასახლეებში“, დანარჩენი გააკეთა მოკლე გამოცდილების დასრულებით, ფარსსა და ხუმრობას შორის, დიდი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებისა. „გლასტნოსტი“-სა და „პერესტროიკი“-ს ლიდერის სიცოცხლე გადარჩენილი იყო, მაგრამ მის ლიდერს, რამდენადაც ძლიერ პატივცემულს და დაფასებულს დასავლეთში, იმდენად დაჩრდილულს უნდობლობასა და კონტრასტებისაგან, განსაკუთრებით რუსეთში, მოყვა შეუბრუნებელი ჩასვენების ფაზა, რომელიც საბოლოოდ 1991 წლის 25 დეკემბერს დასრულდა სსრკ-ს ფორმალური დაშლითაც.

შემდეგ დღეებში, 1991 წლის წმინდა შობისა, საყოველთაოდ აღიარებული კალენდრის მიხედვით, სახლში სტუმრად მყავდნენ ქართველი მეგობრები, მაშინ როდესაც თბილისში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ სასტიკი ამბოხი ხდებოდა, ულტრანაციონალური და საყოველთაოდ დემოკრატიულად აღიარებული. თვალს ვადევნებდი მეგობრების გამოცდილებას, რომლებიც პირდაპირ იყვნენ დაკავშირებულნი მათ ქვეყანაში მიმდინარე დრამატულ მოვლენებთან.

1980 წლის ივლისის თვის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში, როდესაც მონაწილეობა მივიღე ლამაზ და კვალიფიციურ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში, ფრანგულ-ესპანური პირენეების არეალში, რონჩისვალის ფერდობის სი-

მაღლებზე, პირველად აღწევდნენ შემამოფოთებელი ცნობები სისხლიანი გადატრიალებისა სამხრეთ-ამერიკის ერთ ქვეყანაში; მაშინ როდესაც სხვა კოლუმბიელი მეგობრები იყვნენ ფიქრებში "ფარკების" ტერორისტული მოქმედებების გამო, ხოლო იტალიელები 2 აგვისტოს, , ცოტა მოგვიანებით, 10,25 საათზე გაიგებდნენ საშინელ ამბავს ტერიტორისტული მოქმედებისა ბოლონიის სადგურზე, რომელმაც 85 მკვდარი და 200 დაჭრილი დატოვა.

იყო ძალიან განათლებული, თავისუფლების ძლიერი იდეალების მატარებელი და შრომისმოყვარე, მაგრამ არასაკმარისად მცოდნე საჭირო სამთავრობო ტექნიკისა, აუცილებელი ფინანსური რესურსებისა და აუცილებელი დიპლომატიური ქსელის არ მქონე, განსაკუთრებით დასავლეთის კანცელარიებთან, რომლებშიც სანინააღმდეგოდ დომინირებდა შეუპირისპირებელი და შეფასებული მცდარად თუ სიმართლით შევარნაძის ფიგურა. დიდებული ტრიუმფალური, მაგრამ ხანმოკლე და, ალბათ კავკასიური პარაბოლა, გამსახურდიასი, მთელი ქართველი ხალხისა და საქართველოსი, ყველა ეთნიკური უმცირესობის მოლოდინის განსამტკიცებლად.

საბჭოთა იმპერიის აფეთქების მიზეზებზე, ერთ-ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა, მწერალმა და ყოფილმა ევროპარლამენტარმა, ერთ-ერთ ინტერვიუს დროს ალდო კატულოსთან "კორიერე დელა სერა"-ში (სამშაბათი 12 მაისი 2009წ. გვ. 3-41) შეაფასა კომუნიზმის მთავარი კოშკის ნგრევა, როგორც „მოლოკი რომელმაც თავისი თავი გაანადგურა“ (მოლოკი: არსება არსი სემიტური სინმინდისა საშინელი და ბოროტი ძალის).

დროის განმავლობაში ელემენტების ანალიზის ახსნისას, რომლებიც ახასიათებდნენ მაშინდელ ცნობილ ფაქტებს და დიდი დროის განმავლობაში იყვნენ დაფარულნი, ზუსტად და ნათლად განისაზღვრა ბორის ელცინის ფიგურა „XX საუკუნის გიგანტი“. „ბიოლოგიურად ანომალი“ კაცი, მზის ამოსვლისას ძლიერი, გადამეტებული სიამოვნების მოყვარული,

მთავარი მოქმედი პირი ღმერთი მოლოხის „თვითმკვლელობაში“. გორბაჩოვის გაურკვეველი შფოთვა, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადება, რომელიც ჯაჭვისებურად გამოვლინდა ბერლინის კედლის ნგრევიდან, რესპუბლიკათა და სსრკ ქვეყნების საშინელი ეკონომიკური მდგომარეობა, ვოიტილას დაუღალავი შეთქმულება, რეიგანისა და სხვა გამოჩენილი ადამიანებისა განსაკუთრებით გავლენის მქონე იყო ევროპის და მსოფლიოს დონეზე მნიშვნელოვანი, მაგრამ გადამწყვეტი როლი ურუნალისტმა ბელიცამ და სხვებმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ელცინს მიანიჭეს! აზვიადებენ, ცდებიან? ამ წუთას და ფაქტების მიახლოებით ცოდნით და პერსონაჟებით, არ შემოიძლია მთელი კომპეტენტურობით.

მომავალ წიგნში თუ იქნება.

ისტორიის მკვლევართა მცოდნეებს დავუტოვოთ ფაქტების ობიექტური აღდგენა, შეთქმულებებისა და ყველა იმ ასპექტისა, რომლებმაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ განსაზღვრეს კომუნისტური იმპერიის ბოლო, რუსეთის ფედერაციის დაბადება, საჭირო ჩაღრმავებით როლზე და ურთიერთნინა-აღმდეგობების უნარისა მმართველი კლასისა ჩვენს დღეებამდე, მათი ლეგიტიმური მოთხოვნები რეალური ახალი და ყოფილი საბჭოთა ქვეყნებისა, რომლებიც დამოუკიდებელნი გახდნენ, „სრული ძალაუფლებით“ საკუთარ ტერიტორიებზე და ხალხზე, საბოლოოდ გადალახეს რა, ან სურვილი იქნებოდა ამისი, ბრეჟნევის თეორია „შეზღუდული ძალაუფლებისა“.

# III.

## კავკასიის, საქართველოს და თბილისის პირველი გაცნობა, ქვეყნის პრაქტიკული და ისტორიული განვითარების ნაკვლები თანამედროვეობასთან კავშირებით

---

ჩემი დაბრუნების შემდეგ, 1990წ. დასაწყისში, სამხრეთ ამიერკავკასიაში გრძელი და საინტერესო მოგზაურობის შემდეგ, ერთი მეგობარი, რომელმაც ისწავლა რუსული ენა უნივერსიტეტში და სწავლების გრძელი პერიოდი გაატარა ქალაქ მოსკოვში, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში, ხშირად მელაპარაკებოდა სლავური ენის წარმოშობის სილამაზესა და გამომსახველობით სიმდიდრეზე, თავისი კირილეს ანბანის არსებობით.

ძლიერ დაინტერესებული ვიყავი მდიდარი ინფორმაციით და ამავე დროს, კიდევ უფრო დიდი ინტერესს აღვივებდა ჩემში მოვლენების ჩქარი განვითარება, რომლებიც მოიცავდა სატელიტ ქვეყნებსაც და საბჭოთა კავშირის მთელ შიდა მდგომარეობას, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებში.

მიღებული გამოცდილების გახსენებით არგენტინაში, ეკვადორსა და განსაკუთრებით პერუში, პუნოდან კუსკომდე, მაჩუ პიჩუდან დედაქალაქ ლიმამდე, სავსე სამუშაო დღეები დაკავებულნი სანარმოებისა და მათი ინდუსტრიული, ფინანსური და კომერციული შეღწევისათვის, ახალი გავრცელების ბაზრებზე მუშაობისათვის. ამასთანავე, მცირე დროის დათმობის მიუხედავად, ჩემში განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი ძლიერმა ინტერესმა აღმოსავლეთ ევროპისადმი.

სრული გარდატეხა მოხდა ერთ-ერთ შუა გაზაფხულზე, როდესაც სარდული ტურიზმის ინდუსტრიის სახელმწიფო ორგანიზაციამ, სარდინიის ტურიზმის ექსპერტის ხარისხით, მთხოვა ვყოფილიყავი განკარგულებაში სპეციალური „ედუკაციონალ ტურისათვის“ (საჩვენებელი ტური) ცნობილი და კვალიფიცირებული ფრანგი ჟურნალისტი ფრილენსისა, რომელიც მუშაობდა ცნობილი ტურისტული ჟურნალისათვის

პარიზში.

ჩემი პასუხიმგებლობა, როგორც დირექტორისა, სარდული ეკონომიკური სანარმოების ასოციაციის კვლევისა და ძიებისა, არ მაძლევდა საშუალებას, რა თქმა უნდა სამუშაო ხანგრძლივად დამეტოვებინა, მაგრამ იძულებული ვიყავი დავთანხმებოდი ტურის დასაწყისისა და დამთავრებისათვის.

გავიცანი და გამყოლად ვეახლე მომხიბვლელ ტრანსალპინელ ჟურნალისტს, რომელიც პირველი სამუშაო ვახშმის დროს, სარდინიის კულტურასა და ეკონომიკაზე ათასი კითხვის გარდა, ძლიერი ემოციებით მიყვებოდა თავის ულამაზეს რამდენიმე კვირიან მოგზაურობაზე კალიარიში ჩამოსვლის წინ, სწორედ საქართველოში. მის ბუნებაზე, შეხვედრებზე ადგილობრივი ტურისტულ-კულტურულ ოპერატორებთან და მკვლევარებთან სხვადასხვა კულტურებსა და ტურისტულ რესურსებზე, რაც ძლიერ ჩამრჩა მისი კუნძულიდან გამგზავრების შემდეგ;

ერთმანეთს დავცილდით იმ პირობით, რომ გავაგრძელებდით მუშაობას შედარებისათვის ახალი რესურსების ნატურალისტური და იმ ტიპის ტურიზმისათვის, რომელიც სარდინიაზე უკვე საკმაოდ დამკვიდრებული იყო, იმისათვის, რომ ბოლოს მიგვემართა ფრანგული ტურიზმის პოტენციალური მოთხოვნა შეგნებული არჩევანისა და საინტერესოსაკენ.

მისი მიზანი იყო პროფესიონალურად გაემყარებინა უკვე ცნობილი ტურისტული ადგილები, მაგრამ ამავე დროს ნელ-ნელა პროფესიონალურად შეეთავაზებინა ახალი მიმართულებანი უმაღლესი სპეციალიზებული ჟურნალის მკითხველი ტურისტებისათვის, როგორც სთავაზობენ თავის განსაკუთრებით ერთგულ წევრებს იტალიური „Touring Club“-ი თუ სხვა ამერიკული, ანგლო-საქსონური, გერმანული ჟურნალები..

ივლისის თვის ბოლოს, ქალაქ ასემინიში, არც თუ ისე შორს სარდინიიდან ადგილი ჰქონდა სრულიად მოულოდნელ მოვლენას, როდესაც 13<sup>0</sup> გამოშვებაში საერთაშორისო ხალხური ფოლკლორის ფესტივალისა, მონაწილეობა მიიღო სიმღერის, ცეკვის და მუსიკის ჯგუფებმა კავკასიიდან, დასავლეთ საქართველოს სამეგრელოს იტორიული რეგიონის,



დიდი კავკასიონის ძირში მდებარე პატარა ქალაქ მარტვილი-დან ჩამოსულებმა. მონაწილეობა, შესაძლებელი გორბაჩოვის პერიოდში და ფიზიკური და გონებრივი ბარიერების გადალახვის მცდელობით, რომელიც უკვე მიუღებელი იყო. ბედი რომელიც უკვე მოხაზული იყო, როგორც ამას იძახდა თავაზიანი მედეა, ჯგუფის თარჯიმანი და იტალიური ენის ლექტორი თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში, რომელიც დიდი ქართველი მოაზროვნის „ილია ჭავჭავაძის“ სახელს ატარებს, თუ უბრალოდ შემთხვევა? დიდი სიყვარულით ვიგონებთ მაიასთან ერთად ხშირად თავისი უბრალოებისა და სულის სიდიადის გამო.

ჩემს მეგობარ პოლიგლოტ ფულვიოსთან ერთად, ასემინის მრავალრიცხოვანი და კომპლექსური მაცურებლის წინაშე გავაშუქეთ კავკასიელი მეგობრების მიერ ახალი ფოლკლორული წარმოდგენა, რომელიც დიდებულად შეერწყა ასემინის მაღალი დონის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალს. და სარდინიის სხვა ცენტრებში, სადაც, როგორც სახლში, ადგილობრივი მმართველობის მხრიდან მხურვალედ იყვენენ მიღებულნი, აგრეთვე მოსახლეობის წარმომადგენლის პაოლოს მიერ, ქალაქ სინაის პირველი პირი.

დაუფინყარი გამოცდილება, რომელმაც მიბიძგა გამომეყენებინა საშუალება საქართველოში წასვლისა ჩემი, როგორც ქალაქის მმართველის რანგში, ორი კამპიდანური ცენტრის ხალხური ტრადიციების წარსაგდენად სხვა მიპატიუებულ ჯგუფებთან ერთად.

მოგ ზაურობას ადგილი ჰქონდა იმავე წლის შემოდგომის დასაწყისში, მოსკოვის გავლით „Alitalia“-ს ავიაკომპანიით და შემდეგ გზის გაგრძელება აფხაზურ ქალაქ სოხუმამდე, ავიაკომპანიით „Aeroflot“. მოკლე და ულამაზესი დრო, გატარებული საბჭოთა დედაქალაქში, სადაც ყველაფერი ძლიერ საინტერესოდ გვეჩვენა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აეროპორტში შავ ზღვაზე ჩავედით ღამით, საიდანაც გადაგვიყვანეს ახლო ტურისტულ ზონაში ვახშმისათვის და ღამის გასათევად. ღამის განმავლობაში მოხდა პატარა და არასასიამოვ-

ნო ფაქტი: ავტობუსიდან მოპარული იქნა ბარგის ნაწილი, რომელიც ადგილობრივი პოლიციის ჩარევითაც კი ვერ იქნა ნაპოვნი. აქტები, რომლებიც მსოფლიოს ყველა მხარეს შეიძლება მოხდეს, როგორც გამოცდილება, ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო, მაგრამ კარგად დასრულებული. ჩვენი ყოფნის დროს 1984 წლის ზაფხულში, ქალაქ სანფრანცისკოდან ფრენზოში გადასვლისას, ადგილი დიდი ძვირფასი ვენახებისა, რომელიც მდებარეობს „იოსემიტეს პარკის“ მიდამოებში, შემდეგ ავტობუსით გზის გაგრძელებით ლასვეგასში, ფოენიქსსა და ლოსანჯელოსაკენ.

ორგანიზატორი მასპინძლების მდგომარეობა მართლაც, რომ საშინელი იყო, მაგრამ გავიგეთ რა შექმნილი დიდი უხერხულობა მათი მხრიდან, და ჩვენი სურვილით სწრაფად გადაგველახა ეს მდგომარეობა, დიდი ენთუზიაზმით ჩავედით სალხინოში მარტვილის ტერიტორიაზე, სადაც შეიძლება დატკბე შუა საუკუნეების მნიშვნელოვანი სამონასტრო კომპლექსით, სულ ახლახანს აღდგენილით.

ჯგუფის წარმომადგენლებისათვის, რომლებიც სარდნიის ხალხურ ტრადიციებს აცნობდნენ, უცნობი იყო გავრცელებული სოციალური დაძაბულობანი, განსაკუთრებით ამ ორ რეგიონს აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის, შემდეგომში და განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს და სექტემბრის კონფლიქტებამდე რამდენიმე წლით ადრე, კარგად მივხვდი სხვადასხვა კამათისა და უდიდესი სიძნელების მიზეზს ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც დღესაც შეადგენენ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და საქართველოს სხვადასხვა ნაწილში დევნილებს.

საქართველოს ტერიტორია და ზოგადად, სამხრეთ კავკასია არის განსაკუთრებული ბუნებრივი ღირებულებისა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან და განუწყვეტილად გვაძლევს საინტერესო სურპრიზებს ადამიანის წარმოშობის დინამიკაზე.

დმანისის სტეოლოგიური აღმოჩენები ადამიანური ბუნე-

ბისა, ჯერაც არ ამთავრებენ ჩვენს განცვიფრებას. წერილის გამოქვეყნებიდან პირველი ადამიანის ქვედა ყბის შესახებ, რომელსაც 1991 წელს ჰქონდა ადგილი. ახალი აღმოჩენები, რომლებიც წლების განმავლობაში აგრძელებენ ახალი მასალებისა და ინფორმაციის მოწოდებას ამ უძველესი ადამიანების განვითარების ისტორიაზე.

საქართველოში, ქვემო ქართლის რეგიონში, დმანისის აღმოჩენის ყველაზე დიდი ღირებულება მდგომარეობს გაქვავებული ადამიანის ძვლების სიმდიდრეში. თითქმის ერთადერთი შემთხვევა, რომელიც საშუალებას იძლევა დაკვირვებისა გაქვავებული ძვლების სხვადასხვაობაზე, მთავარი ელემენტი ადამიანის სახეობის განვითარების დინამიკის გაგებაში.

მტკიცება ამისა, სპეციალიზირებულ ჟურნალ „Nature“ 2007 წლის სექტემბერში (nature 06134) იყო პროფესორ ლორენცო რუკის მიერ, ფლორენციის უნივერსიტეტის პალეონტოლოგი, საერთაშორისო ჯგუფის წარმომადგენელი და იტალიური ჯგუფის კოორდინატორი, რომელიც მონაწილეობს მნიშვნელოვანი კავკასიური ადგილსამყოფელის ძიებაში, თბილისის ეროვნული მუზეუმის დირექტორის პროფესორ დავით ლორთქიფანიძის მეცნიერული პასუხიმგებლობის ქვეშ.

ახალმა აღმოჩენებმა დმანისის არქეოლოგიური გათხრების არეში არქეოლოგების ჯგუფი მიიყვანა „შამპანურის ოთახის“ აღმოჩენამდე, რათა დაეგვირგვინებინათ მნიშვნელოვანი აღმოჩენები საქართველოში საკმაოდ ცნობილი ბახუსის ღმერთით.

დმანისის პალეონტოპოლოგიური არქეოლოგიური ადგილმდებარეობა, დათარიღებული დაახლოებით 1.8 მილიონი წლით, საერთაშორისო მეცნიერულ წრეებს აძლევს მართლაც და გასაოცარი ინტერესის მქონე მრავალ ელემენტს, რომელიც მნიშვნელოვნად აფართოებს აქამდე არსებულ ცნობებს, გამოქვეყნებულს მრავალ სპეციალიზებულ ჟურნალებში.

განსაკუთრებულად კომპლექსურია საბუნებისმეტყველო მეცნიერთა ასპექტები, რომლებიც აერთიანებენ ან ყოფენ საერთაშორისო მეცნიერულ წრეებს საინტერესო შედეგებში და მუდმივ ძიებაში ადამიანის ნამდვილი წარმოშობის ცოდნის შესახებ. საფუძვლიანი ინტერესი ადამიანური, მეცნიერული და რელიგიური, რომელიც ყოველთვის იზიდავდა კაცობრიობას, როგორც ხშირად მიუთითებს პროფესორი, პაოლო კარბონი, მეცნიერული საგნებისა და თეოლოგიის ექსპერტი, მათ ისტორიულ, ყოველთვის არა სარგებლიან კავშირებზე;

პრობლემატური კავშირი მნიშვნელოვან და გადამწყვეტ კითხვასთან მიმართებაში, სავარაუდო „უფლის წმინდა შებერვასთან“ რათა დააზუსტოს გადაულახავი არხი „ადამიანური ტიპის“, რომელსაც აქვს უნარი განსჯის, გამოკვეთილი ენისა და თვალსაზრისისა, და სხვა ცოცხალ არსებებს შორის, და კიდევ როგორც ამტკიცებს ალბერტ აინშტაინი: „ღმერთი კამათლებით არ თამაშობს“. მართლაც, ყველაზე დიდ პროტაგონისტს ფიზიკის კონცეფციისა არ შეეძლო მიეღო ის, რომ სამყარო ჩამოყალიბებული ყოფილიყო მთელი რიგი შემთხვევითი მოვლენების საფუძველზე.

კამათი, რომელიც საკმაოდ იყო გავრცობილი და ნაკვები დარვინისეული თეორიული ჰიპოთეზით (ჩარლზ დარვინი) „ევოლუციონიზმზე“, რომელიც დღესაც კი ქმნის მეცნიერულ სირთულეებს „ექსპერიმენტალურ მეთოდთან მიმართებაში „ინდუქტიური“ ტიპისა, კოდიფიცირებული ასტრონომის, ფიზიკოსის, მათემატიკოსის გალილეო გალილეის მიერ.

კვლევის საგანი, რომელმაც იპოვა საბოლოო და დამარწმუნებელი ანალიზის ინსტრუმენტი მე-19 საუკუნის ბიოლოგ აბატ გრეგორ მენდელის მიერ ჩატარებულ კვლევაში, ფართოდ და საბოლოოდ გადაფასებული სხვა გამოჩენილი გენეტიკური მეცნიერების სწავლულთა მიერ, მე-20 საუკუნის დასაწყისში, რომელიც ყოველგვარი ყოყმანის გარეშე აღიარებდა: „ბუნების ძალები მოქმედებენ საიდუმლო ჰარმონიის

(გენეტიკა) მიხედვით, რომ ადამიანის მიზანი არის აღმოაჩინოს თვით ადამიანის საკეთილდღეოდ და ღმერთის სადიდებლად”.

რთული საკითხები ლექციების საფუძველისა პროფესორ ანთროპოლოგ მიქელანჯელო პირასი, რომელმაც კალიარის უნივერსიტეტის ახალგაზრდა სტუდენტებთან ერთად მომანოდა, დიდი გაგებითა და პასუხიმგებლობით, ადამიანთა შორის ურთერთობებზე კვლევების ფუნდამენტალური მნიშვნელობა, რომელიც ერთ ხაზზეა სოციალური ფენომენების ეტრუქტურალიზმთან, დიდ ანთროპოლოგ ფილოსოფ გაფრანგებულ კლოდ ლევი-სტრაუსთან.

ძიებანი არქეოლოგიურ ადგილზე დმანისისა, რომელიც მიეკუთვნება ალიოცენურ-ალეოსტოცენურ გეოლოგიურ ეპოქას, საშუალებას იძლევა ინტერდისციპლინარული ცოდნით და ამასთანავე ორიგინალური მეთოდით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან პალეონტროპოლოგიასთან, სისტემატური და შედარებითი ფორმით გააღრმავონ ცოდნა ამ სფეროში.

„არ არსებობს დღევანდლამდე სხვა სამარხი, რომელმაც სინათლეზე გამოიტანა ამ რაოდენობის ნარჩენები, რომლებიც სთავაზობენ სწავლულებს მსგავს საშუალებას, შეისწავლონ ასე დეტალურად ანატომია და ძველი წინაპრების ცხოვრება. ანატომია და კულტურული შესაძლებლობანი, გამოხატული ქვის ხანის ტექნოლოგიებით, იმ ძველი ადამიანებისა არის მოზაიკა ნარევი ძლიერ არქაული ასპექტებისა საოცარი თანამედროვე ხასიათებით, რომლებმაც საშუალება მისცა ანთროპოლოგებს შეიმუშაონ ახალი ჰიპოთეზები, თუ ვინ იყვნენ, და როგორ და რატომ ამ ჩვენმა წინაპრებმა დატოვეს აფრიკული კონტინენტი, თითქმის ორი მილიონი წლის წინათ“ (ლ. რუკი: „ანტიკური მოგზაურობა ევრაზიისაკენ“. Darwin review-ში, მარტი-აპრილი გვ. 58-63, 2008 წ.)

შესაძლოა ნაპოვნი იქნას კავშირი სახეობებს შორის „დიდ პრიმატესა და ადამიანს“ შორის, დმანისის აღმოჩენილ

გამოქვაბულ - რეპერტივში და დამტკიცდეს, რომ ევროპელე-  
ბის პირველმა დედამ პირველი ნაბიჯები სწორედ სამხრეთ  
კავკასიის ნაწილში გადადგა.

მოლოდონში მეცნიერული ძიებანი წინ მიინევენ, კვლე-  
ვათა პირველი შედეგები ამტკიცებენ წრეს შეერთებისა ევ-  
რო-აზიასთან, რომელმაც შეიძლება ქართველები და სხვა  
კავკასიური ხალხები გააამაყოს, განამტკიცოს, გაგულისე-  
ბული ჭორის გამავრცელებლების ხარჯზე, რომლებიც მათ  
არაევროპულ წარმოშობას ამტკიცებენ, სურვილით ქვეყნის  
შესაძლებელი შესვლისა, საჭირო ევროპული პარამეტრების  
მიღწევით, ევროგაერთიანებაში.

მანამდე კი, 2009 წლის 7 მაისს, საქართველო მაინც არის  
ოფიციალურად ჩანერილი და მთელი სრულუფლებიანობით  
„აღმოსავლეთ პარტენარიატორის“ კავშირში, რომელიც შე-  
საძლებელია წარმოადგენდეს პირველ და კონკრეტულ ნა-  
ბიჯს მიზანმიმართულს ძველ კონტინენტთან დაახლოები-  
სა და ინტეგრაციისაკენ. ახალი მექანიზმი კომუნიტარული  
ორგანიზმების შექმნილი დაახლოვების კონკრეტული პრო-  
ცესის დასაწყისისათვის, ისეთი სინამდვილეებისა როგორც  
ბელორუსიაა, დაუძველებელი და წინასწარ გამოუცნობი,  
ლუკაშენკოს მიერ მართული.

მოლდავეთში, უახლესმა სოციალურმა და პოლიტიკურ-  
მა დინამიზმმა ხელი შეუწყო აუცილებელ ცვლილებებს. უკ-  
რაინა, ქვეყანა რომელშიც „ფორთოხლისფერმა რევოლუცი-  
ამ“ თავისი თავის მამოძრავებელი მუხტი შეანელა, სამხრეთი,  
ერთადერთი ქვეყანა ჯერ კიდევ მჭიდროდ დაკავშირებული  
მოსკოვის პოლიტიკასთან. აზერბაიჯანი, რუსი დათვის გამო-  
ძახილი და დასავლური ყურადღების ბილიკზე, ნეპოტიზმსა  
და გახსნას შორის დემოკრატიული ცვლილებებთან მიმარ-  
თებაში და სწორედ საქართველო - ნელი, თანდათანობითი  
გააზრებული პროცესი, ყოველგვარი ავტომატური ძალდატა-  
ნების ელემენტების გარეშე, შეფასებული თავის სხვადასხვა  
სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტში და საქართველოს სისტე-

მის დემოკრატიულობის უნარიანობასთან მიმართებაში, რომელიც ჯერ კიდევ სრულ წინსვლაშია, აჩვენოს ნამდვილი და დამაკმაყოფილებელი ყურადღების პოლიტიკა და საზოგადოების ყველა კომპონენტის ჩართულობა, განსაკუთრებით მათი ვინც ნამდვილად სუსტი და ემარგინირებულია.

გამონვევა, რომელსაც ქართველმა ხალხმა და მისმა დემოკრატიულად არჩეულმა წარმომადგენლებმა, შეუძლიათ და უნდა დაუჭირონ მხარი მოსახლეობის არსებული ეკონომიკური და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად, საყოველთაო საერთო კეთილდღეობის გასანვითარებლად და გასაფართოებლად, რომლებიც მზად არიან მსოფლიოს კულტურებთან სასურველი, კონფორტაციისათვის.

ამავე დროს ბოლო თვეებში სასიამოვნოდ გაკვირვებულნი დავრჩით შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა საპოლიციო უბნების ახალი სტრუქტურული (არქიტექტურული) გადაწყვეტილებებით, გახსნილი საზოგადოებისათვის საქართველოს ტერიტორიაზე.

ახალი სამინისტროს შენობის პროექტის ავტორმა, იტალიელი - ფართო საერთაშორისო დონის გამოცდილებით, გვამცნო გამოყენებული არქიტექტურული ფორმის მნიშვნელობა: „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა ჩაფიქრებულია, როგორც ერთი ფრთა, რომელიც იცავს ოპერატიულ ოფისებს, ქმნის რა ერთ დიდ ვერანდას შენობის გარშემო, როგორც ეს იხმარება ქართულ ტიპიურ არქიტექტურაში“. არქიტექტორმა მიქელე დე ლუკამ შენობის კომპლექსურობაზე შემდეგ დაამატა: „არის შენობა, რომელიც გამოიყენება შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი პოლიციის ოპერატიული წარმომადგენლობის მიერ, მასში განთავსებული ოფისებით, მოქმედი მომსახურე პერსონალისა და სამინისტროსათვის, ვიცე მინისტრის სამუშაო სივრცით, კრებათა და დიდი საკონფერენციო დარბაზებით. შენობა, მთლიანად დაფარულია მინის საფარველით, რომლის გარსიც არის ტალღებად მთელ პერიმეტრზე, როგორც მფრი-

ნავი დიდი ლენტი. მთავარ ხიდთან ლენტი ზევით იწევა, რათა შექმნას შესასვლელი სივრცე. ნაგებობა მდებარეობს დადაბლებულ დიდ მოედანზე, შენობის გასწვრივ პატარა ტყის ფონით, რომელიც ფარავს ავტოსადგომებსა და ტექნიკურ ნაგებობებს“.

გაბედული არქიტექტურული შედეგრი და სასურველი საყრდენი ნერტილი, გამჭვირვალე და მიუკერძოებელი პოლიტიკის გატარებისათვის საქართველოს საზოგადოებრივ მმართველობაში, განხორციელებული ახალ გეოპოლიტიკურ სინამდვილეში, რომელიც სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს, მაგრამ კონკრეტული შესაძლებლობა, რომ მიმართული იყოს უფრო ფართო და მომავადობელი ჰორიზონტებისაკენ.

სტრუქტურული შენობა, რომელიც შეიძლება გადაიქცეს ნამდვილ სიმბოლოდ „ვარდების რევოლუციისა“ (მიღწეული პოლიტიკური სეზონი, გაყინული თუ ჯერ კიდევ გასანვითარებელი საჭირო მისადაგებებით და დროის გადაპროგრამებით, პროცედურებითა და განსაკუთრებული მიზნებით?) იგივე ევროგაერთიანების ახალი შუქურა, მისი კეთილი მეზობლების პოლიტიკით (Еnpi CBA Black Sea ) და მოსაზღვრე პარტენარიატობის (აღმოსავლეთ პარტენარიატობა) სინამდვილეებით.

ვიმედოვნებთ, რომ სარწმუნო და კონკრეტული გაფრთხილებაა მათთვის, ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კორუფციის სისტემა და „მაფიოზური“ ქცევები მე-20 საუკუნისა, როგორც საშუალებანი შეჯიბრისა და ეკონომიკის ზრდისათვის, რომელნიც მიმართულია ადგილობრივი საზოგადოების და საერთაშორისო წრეებში, ახალი სტატუსის სიმბოლოების მიღწევისაკენ. ქცევის სამყარო, დეტალურად წარმოდგენილი გასაიდუმლოებულ (შიფრიან) საბანკო ანგარიშებზე, ფისკალურ სამოთხეებში დიდი მანქანებით, რომლებში ჩასაჯდომად საჭიროა კიბეების ხმარება, ფორმიანი, არა ყოველთვის გემოვნებიანი სამოსი, ორგული ხასიათი დახურული დღესასწაულებისა, სუპერლუქსის იახტები, ზღაპრული ვილები და



ყოველმხრივი სტრავაგანტული მოთხოვნები.

თუ სისტემა საქართველო, უმოკლეს დროში შეძლებს საბოლოოდ განთავისუფლდეს „მამიკოების“, „დედიკოების“, „ნათლიდედების“, „ნათლიმამებისა“ და „შეუმჩნეველი მეგობრების“, „ორმაგი კარების“ და „ცარისტული საბჭოთა დროის საიდუმლო სამსახურით დაფუძნებული მეთოდებისაგან“, შეძლებს პრეტენზია ოქონიოს მთელ კავკასიურ სივრცეში, ევროპასა და მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლის მატარებელზე!

ვფიქრობთ ასევე, საკითხები დაკავშირებულნი არსსა და კანონიერ ინტერესებთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოლქისა, შეძლებენ უფრო იოლად ოპოვონ ადექვატური გადნაყვეტილება საქართველოს რესპუბლიკაში ახალი თაობებისათვის მაინც, ძველების ხელახლა დაბრუნებით, რომლებიც ფრთხილნი, ბრძენნი გახდნენ, სიძნელების, დრამებისა და იმედებით სავსე ცხოვრების შემდეგ.

მარტვილში ყოფნის დროს 1990 წელს, ბედმა გამიღიმა სარდინიის მთელ ჯგუფთან ერთად, რამდენიმე დღის განმავლობაში დამეთვალაიერებინა საქართველოს დედაქალაქი. მგზავრობა თბილისამდე ხანგრძლივი გამოდგა, მაგრამ საინტერესო, პეიზაჟების უშუალოდ გაცნობის მიზნით.

თბილისი, დიდი ქალაქი, ურბანისტულად სტრუქტურით და დომინირებული საშინელი შენობებით ახალი კვარტლებისა, მაინც ვიგრძენით განსაკუთრებით საინტერესო გარემო, მაგრამ ჩვენთვის დატვირთული გაურკვეველი დაძაბულობით.

მეგობარმა და დაუვინყარმა ლექტორმა მედეამ, მარტვილელმა მეგობრებმა და მათი სახით ბადრიმ და რეზომ, ქალაქის შესახებ მოგვანოდეს პირველი ზოგადი ცნობები, და მის როლზე, როგორც ეროვნული საყრდენისა, საბჭოთა კავშირის პაქიდერმთან განსხვავებით, რომელიც უკვე საბოლოოდ ნელა მოძრაობდა;

მაშინ, როდესაც საჭირო ისტორიულ-კულტურული ცნო-

ბები მივიღეთ ხელოვნების მუზეუმსა და უნივერსიტეტში ფრანგულ ენაზე, განსაკუთრებით მაიასაგან, უმცროსი მეცნიერ მუშაკისაგან, ნელ-ნელა პირადად ვხედავდი თუ როგორ ისხამდა ხორცს ის, რაც ნათქვამი ჰქონდა ჩემთვის ფრანგ მეგობარს, ფრანგული ტურისტული ჟურნალისტის ფრილენსის და პირველი შტაბეჭდილებები, რომელნიც მიღებულნი მქონდა ხალხური ტრადიციების მარტივლის ჯგუფისაგან, ხმელთაშუაზღვის კუნძულზე მათი ყოფნის დროს.

პირადად ჩემი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული გამოცდილების გამო ჩემს პატარა ქალაქში და ამავე დროს ჩართულის პოლიტიკურ საქმიანობაში, იტალიური დიდი პარტიის დონ სტრუცოს, დე გასპერის, მოროს და სხვათა მემკვიდრეობის შთამომავლისა, მქონდა საშუალება მონაწილეობა მიმეღო, ძალიან ფრთხილი ახალგაზრდა აქტივისტის გიორგის მეშვეობით, პოლიტიკურ შეხვედრაში, ორგანიზებულის ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ერთიანდებოდნენ ზვიად გამსახურდიას ქარიზმატული პიროვნების გარშემო. რა თქმა უნდა მაშინ არ შემეძლო გამეგო ქართველების პოლიტიკური იდეების ფართო გალასია, ჩვენგან, დასავლეთელებისაგან დანახულთა და მიღებულთა, მაინც საბჭოთა კავშირის (რუსეთის) გარშემო, ჩაკეტილი და კარგად გაკონტროლებულის, ერთი პარტიის დიდ კონტენიტორში.

მრავალი წლის შემდეგ, ბოლო მოვლენების განვითარებისას საქართველოსა და ასევე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებსა და სატელიტ ქვეყნებში, ვფიქრობ გავუკეთე მეტაბოლიზაცია მრავალ საკითხს იმ სამყაროსი, რომელიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის უკან ნამდვილად შორს იყო, განუწყვეტელი და ორმაგი, შიდა და გარე სახით იმავე სისტემისა.

ჯერ კიდევ სამეგრელოში დაბრუნება თბილისიდან და შემდეგ მოსკოვის გავლით იტალიაში დაბრუნება, იყო ნამდვილად საინტერესო მეგობრული ურთიერთობების განსამტკიცებლად, რომელიც დღესაც რჩება იშვიათი სახით სიმორისა და ყოველდღიურობის გამო. შეხვედრები ადგილობრივ

მოსახლეობასთან მუნიციპალიტეტის შენობაში, თეატრში, მოედნებზე და სახლებში. ღვინო მართლაც რომ არ აკლდა ხშირ სუფრებს გრძელი სადღეგრძელოებით.

სწორედ იმ დღეებში აღმოვაჩინეთ და დავესწარიტ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე „ამხანაგი ლენინის“ საპატივცემულოდ დროთა განმავლობაში შექმნილი ქანდაკებების ჩამოგდებას. გაკვირვებულები ვიყავით სამოქალაქო და ინდუსტრიული ინფრასტრუქტურების უპატრონობით, სასოფლო-სამეურნეო მიწდვრების უყურადღებოდ მიტოვებით და კიდევ უფრო საერთო საცხოვრებელი სახლების კვარტლებით, რომლებიც იყვნენ წარუშლელი მონმენი გაკოტრებისა მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური სისტემისა.

მინა, რომელიც გადაიქცა ჩემთვის, მსოფლიოს მოქალაქისათვის და ნამდვილი ტრადიციებისა და ადგილობრივი კულტურების ღრმა მოყვარულისათვის, მეორე სამშობლოდ და ადგილი, სადაც მესიამოვნებოდა ყოველთვის მესუნთქა სუფთა და თავისუფალი ჰაერი, შემძლებოდა მემღერა იტალიელი ხელოვანის ლუჩიო ბატისტეს (ალბომიდან: ჩემი თავისუფალი სიერრა) ზოგიერთი ულამაზესი სიმღერა, რომელიც ძალიან კარგად მიესადაგება ქართულ რეალობას და ვნებით ნამეკითხა კავკასიონის მომხიბვლელი მთხადოებული დიდი პოეტების ლექსები და ლირიკული ნაწარმოებები.

განუწყვეტელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა და აღმოჩენილმა საინტერესო ნივთებმა აჩვენეს და კიდევ აჩვენებენ კავკასიურ ცივილიზაციებს და ზოგიერთი მათგანის ადგილმდებარეობას, უკვე ჩვეულებრივად მოსანახულებელს, რომლებიც საშუალებას იძლევა ვიქონიოთ იმ ათასწლეულების სურათი, რომელიც წინ უძღვოდა ჩვენ ეპოქას, დაზუსტებით კი ქრისტეს დაბადებას.

უძველესი ქართველური ხალხები ძირითადად თავმოყრილნი იყვნენ ორ, კოლხეთისა და იბერიის რეგიონში. მათი ტერიტორიები, მდიდარნი მინერალებით პალეოლითის ბოლოს, ქვის ხანის უძველესი ეპოქა, საშუალებას იძლევა მათი

პირველი გადადნობისა და მათგან მანუფაქტურული ნივთების შექმნისა ქვის ნივთებთან ერთად, საჭიროსი homo Sapiens-სა (გონიერი ადამიანი) და მისი შთამომავლობისათვის.

ბერძნულმა სამყარომ აღმოაჩინა ის ორგანიზებული სინამდვილე, განსაკუთრებით კოლხეთი, სადაც მითოლოგიამ განავითარა ყველაზე მნიშვნელოვანი თავგადასავლები, დაკავშირებული იასონთან და მის მამაც არგონავტებთან ერთად. მათ ლეგენდარულ ქცევებსა და ყოველდღიურ სინამდვილესთან ერთად ისეთი მდიდარი მინერალების საძიებლად, როგორც ოქროსა, რომელიც მოიძიებოდა ჰიდროგრაფიულ აუზში მდინარე რიონისა, ტერიტორია კავკასიონიდან შავ ზღვამდე, სადაც მრავლად არის ხოხობი, და როგორც ჩანს მრავლადაც.

მეფე აიეტის შეგნებულობამ, მნიშვნელოვანი ოქროსა და სხვა მინერალების საბადოების მფლობელობასთან დაკავშირებით და მისმა თავგამეტებულმა დაცვამ, მაინც ვერ შეუშალა ხელი მისტიურ მებრძოლს არგოლაიდესს, მოსულს არგოდან, ადგილმდებარეობა ათენსა და სპარტას შორის, მიზნით, რომ თავისი შეყვარებულის, მედეას დახმარებით ცნობილი „ოქროს სანმისი“ მოეპარა.

ისტორიული ნაწილი ქართულ გამოცემაში მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი თემებით მოიხსენიება, ვინაიდან არ გვაქვს განსაკუთრებული მეცნიერული ცოდნა. ამასთან ჩავთვალეთ, რომ კავკასიელი მკითხველი ნამდვილად კარგად იცნობს თავის ისტორიას. ისტორიული ფაქტები ფართოდ იქნება გაშუქებული სხვადასხვა ენების გამოცემებში კლასიკური და უახლესი მეცნიერული კვლევების საფუძველზე დანერგილი მონოგრაფიების დახმარებით.

სასურველმა სოციალურ-ეკონომიკურმა ზრდამ ხელი უნდა შეუწყოს დიდი ინტერესის გაღვივებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართ და მათ შორის ახალი თაობის მხრიდან ქვეყნის ისტორიისა და კავკასიური სინამდვილეების ცოდნას. ამაში შეიძლება ჩვენმა ფანტაზიამ გადააჭარბა ახალგაზრდა სტუდენტების გაუთავებელ მისვლამოსვლას

ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მონყურებულების ისტორიული ფაქტების ცოდნის გაღრმავებასა და შედარებაში, რომლებმაც დალი დაასვეს მოხუც კონტინენტს ატლანტიკიდან სკანდინავიამდე, ურალიდან კავკასიამდე და მთელ ხმელთაშუაზღვამდე.

რომის იმპერიულმა გაფართოებამ უყრადღებოდ არ დატოვა მთელი რეგიონი და პირიქით, ბევრი რომაელი იმპერატორთაგანი ხშირად მიმართავდა ამ მიწებს და მათ მცხოვრებლებს, გამორჩეულ საბრძოლო უნარით, პონტოს სამეფოს დაპყრობის შემდეგ, დღევანდელი დასავლეთ საქართველო, მაშინ უმთავრესად ლაზებით დასახლებული და თურქეთის ნაწილი ჰოფას, რიზეს და ტრაპზონის ტერიტორიები რომაელებისაგან იყო რეორგანიზებული, რომლებიც იბერი-აში შევიდნენ საყრდენი სამხედრო ბაზების მშენებლობით და შესაძლებელია დალაშქვრების მომზადებით თვით კასპიის ზღვამდე.

კოლხეთის სამეფოს დამოუკიდებლობის დასრულების და რომაელების მხრიდან ტერიტორიების სხვადასხვა ნაწილში გავლენის დასაწყისით, განსაკუთრებულად სასიამოვნო მშვიდი კლიმატითა და მდიდარი ბუნებით, ზოგიერთმა ქრისტეს მოციქულმა მოახდინა ურწმუნოთა, რომლებიც ძირითადად ანიმასტიკურ რიტუალებს მისდევდნენ, მოქცევა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე.

მიუხედავად ამისა, ევანგელიზაციამ საბოლოო ქრისტიანული შემოტრიალება მოახდინა IV საუკუნის პირველ ნახევარში წმინდა ნინოს შემოსვლით, რომელიც კაბადოკიიდან იყო. წმინდა ნინოს სათაყვანებელი ნეშტი განისვენებს ბოდბის მონასტერში, პატარა განახლებულ ქალაქ სილნალთან, კახეთის იბერიულ რეგიონში, სადაც მრავალი წერტილიდან შეიძლება თვალი შეავლო ფართო და გრძელ ველს, სადაც მიედინება მდინარე ალაზანი და ადგილი, შორს მოჩანს კავკასიონის დათოვლილი მწვერვალები. ძლიერ ნაყოფიერი ტერიტორია სამეურნეო წარმოებისათვის, და სადაც ღამეების

განმავლობაში ხშირად ვარსკვლავების გაუთავებელი ბაღრა გიქმნის შეგრძნებას, რომ ძალიან დაბლა არის განუმეორებელი სპექტაკლი თავისი სინათლის სიძლიერით, რაც სხვაგან არსად გვინახავს.

მირიან მეფის ქრისტიანად მოქცევამ ხელი შეუწყო ქრისტიანობის გავრცელებას და ქრიტეს მცნებათა ქადაგებას, გავრცელებულს განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ბერების წყალობით. ადგილობრივი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებების შეტანით იქამდე, რომ მათმა ტეროტორიაზე ფესვგადგმამ მომავალ საუკუნეებში საქართველო ქრისტიანობის ცენტრად გადაააქცია მრავალი დამპყრობელი ხალხების წინააღმდეგ, რომელნიც სხვა რჯულისა და საზოგადოებრივი წყობის სხვა მოდელების მატარებელი იყვნენ.

სამხრეთ კავკასიაში ახალი ქრისტიანული საზოგადოება გათამამებული იყო რომის იმპერიის მრავალ მხარეში გავრცელებული სხვა ხალხების მყარი ტრადიციებით, განსაკუთრებით ჩრდილოეთ აფრიკის მხარეში და ასევე მცირე აზიის აღმოსავლეთ მხარეში. ქრისტიანობის წინააღმდეგ დევნამ II და III საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით გაამყარა ახალი რწმენა და აიძულა იმპერატორები ეცნოთ არაოფიციალური სარწმუნოებანი, განსაკუთრებით ქრისტიანული, გაანთავისუფლა რა ყოველგვარი ცრუ გამოცხადებათაგან, აკრძალვებისა და დევნისაგან.

ე.წ. მილანის "Ediho"-ს საშუალებით იმპერატორმა კონსტანტინემ არა მხოლოდ შემოიტანა დამთმენობა, არამედ სანყისი მისცა ქრისტიანობის ხელშემწყობ ფართო პოლიტიკას. იგივე იმპერატორი დარწმუნებული და შეგნებული ქრისტიანობის როლით ყოველდღიურ ცხოვრებაში, პირადად ახლოდან აქცევდა ყურადღებას განსაკუთრებულ თეოლოგიურ საკითხებს მრავალი საკითხის გასარკვევად, რომელნიც თავს იჩენდნენ სხვადასხვა მოსახლეობაში და რომელთა გამოცხობიერად რომის პაპი ვერ ახერხებდა სრული უფლებებით და სა-

ყოველთაო აღიარებით მართვას. ამისთვის იყო მოწვეული საეკლესიო კრებანი, რათა გადალახულიყო და ჩამოყალიბებულიყო ქრისტიანობის მთავარი დოქტრინა.

